+++AGRO NEWS GEORGIA+++

ხორბლის მონოპოლია ადგილობრივ წარმოებასაც ჩაძირავს და ფერმერებსაც

საქართველოს ხორბლისა და პურპროდუქტების ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის ლევან სილაგავას განცადებით, ამჟამად ადგილობრივ ფქვილის ბაზარზე ფასს აზერბაიჯანული კომპანია "კარმენი" განსაზღვრავს. ამ კომპანიამ 2007 წლიდან ეტაპობრივად შეიძინა 4 მსხვილი წისქვილკომბინატი (გორის, მარნეულის, კაზრეთისა და მზეკაბანის), რომელთა ჯამური სიმძლავრე ამჟამად 1,300 ტონას დღეში შეადგენს. ეს ფქვილით საქართველოს 100%-იან მომარაგებას ნიშნავს. მეწისქვილეების მტკიცებით, „კარმენი" ადგილობრივი ხორბლის ბაზრის 60-70%-ს აკონტროლებს და საწყობების 90%-ს. სილაგავას თქმით, დანარჩენი წისქვილკომბინატები, რეალიზაციის შემცირების მიუხედავად, ცდილობენ ბაზრიდან არ გაქრნენ. ასოციაციის ხელმძღვანელი იმედოვნებს, რომ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დროულად დამტკიცების შემთხვევაში, კომპანიებს სამართლიან კონკურენტულ პირობებში შეეძლებათ საქმიანობა.

ECONOMIC PRESS MONITOR, 2013 წლის 12 ნოემბერი

სასოფლო სამეურნეო კოოპერატივებისთვის სტატუსის მინიჭება დეკემბრიდან დაიწყება

სოფლის მეურნეობის სამინისტრო იუწყება, რომ სასოფლო სამეურნეო კოოპერატივებისთვის სტატუსის მინიჭება ამ წლის დეკემბრიდან დაიწყება. სტატუსის მინიჭებას მოახდენს ახლად შექმნილი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო, რომლის პრეზენტაცია გაიმართა თბილისში საგამოფენო ცენტრ „ექსპო ჯორჯიაში". სააგენტო დაფუძნდა, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი და მისი ვალდებულებაა სასოფლო სამეურნეო კოოპერატივებისთვის სტატუსის მინიჭება, ასევე მონიტორინგი და სახელმწიფო პროგრამების განხორციელება.

DAILY NEWS, 2013 წლის 11 ნოემბერი

10 ქართული კომპანია ჰონგ კონგის ღვინის საერთაშორისო გამოფენაში მონაწილეობს

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო იუწყება, რომ 10 ქართული კომპანია მონაწილეობს ჰონგ კონგში ღვინისა და სპირტიანი სასმელების საერთაშორისო გამოფენაში Hong Kong International Wine & Spirits Fair 2013, რომელიც HKTDC (Hong Kong Trade Development Council)-ს ორგანიზებით იმართება. 10 ქართულ კომპანიას შორის არიან: „ბაგრატიონი 1882", „ბესინი", „შატო მუხრანი", „კორპორაცია ქართული ღვინო", „GWS", „კახური ტრადიციული მეღვინეობა", „სარაჯიშვილი", „შუხმან ვაინს ჯორჯია", „თბილღვინო" და „ხარება". სამინისტროს ინფორმაციით, დღეის მონაცემებით, ჩინეთის ბაზარზე 781 108 ბოთლი ქართული ღვინო და კონიაკია ექსპორტირებული, აქედან ჰონგ კონგში გაიგზავნა 103 399 ბოთლი.

ECONOMIC NEWS, 2013 წლის 8 ნოემბერი

კომპანია „ვაზიანი“ 200 ჰა-ზე ვენახის გაშენებას გეგმავს

როგორც „სარკეს“ კომპანია „ვაზიანის“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ირაკლი იაშვილმა განუცხადა, კომპანია გეგმავს 200 ჰა მიწაზე კახეთში ვენახის გაშენებას. კომპანიამ ახლახან საწარმო ააშენა, რისთვისაც საერთო ჯამში 3 მილიონი ევრო დახარჯა, აღნიშნა იაშვილმა. აქედან, $1,55 მილიონი მოდიოდა VTB Bank Georgia-ს სესხზე, საიდანაც 600 000 შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში გაიცა. იაშვილის მონაცემებით, წელს კომპანიამ 1 500 ტონა ყურძენი გადაამუშავა, საერთო ჯამში კი 1,5 მილიონი ბოთლი ღვინო დაამზადა. ტრადიციული ბაზრებია ყაზახეთი, ჩინეთი, ტაჯიკეთი, უკრაინა, რომლებსაც კომპანია პირველ რიგში ამარაგებს, ამჟამად კი რუსეთში წარმოების, დაახლოებით, მესამედი გადის, განაცხადა იაშვილმა. ჩინეთში კი ორ პროვინციაში შეგვაქვს ღვინო, ხოლო უკვე ვაფორმებთ კონტრაქტს მესამე პროვინციაში შესატანად, აღნიშნა მან. იაშვილის თქმით, კომპანიის ღვინო რუსეთის ბაზარზე დახლზე დაახლოებით $8-12-ის ფარგლებში მერყეობს, სხვა ბაზრებზეც დაახლოებით იგივე ფასებია - „ჩინეთში ოდნავ მეტი, ხოლო უკრაინაში ოდნავ ნაკლები“. ცნობისთვის, გასული წლის ივლისში კომპანია „ვაზიანი“ გამოეყო სს „ვაზიანს“, ხოლო დეკემბერში შპს „თელავი-ღვინოს“ შეერწყა. ამ დროისთვის კომპანიაში წილები შემდეგნაირად ნაწილდება: ირაკლი იაშვილი - 54.568%; ნუგზარ ჭიჭინაძე - 17.872%; მიხეილ იაშვილი - 12.53%; ბარბალე იაშვილი - 7.17%; ლეილა ქუმსიაშვილი - 3.57%.

DAILY NEWS, 2013 წლის 7 ნოემბერი

კონკურსი - 2014 წლის საუკეთესო სასურსათო საწარმო

"ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი" იწვევს საქართველოში სურსათის სფეროში მომუშავე საწარმოებს კონკურსში „2014 წლის საუკეთესო სასურსათო საწარმო“ მონაწილეობის მისაღებად. ინფორმაციისთვის იხილეთ განცხადების სრული ტექსტი.

ნინო სუთიძე
"ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი"
თბილისი 0179, საქართველო
კავსაძის 3, მე-2 სართული
ტელ./ფაქსი: (995 32) 225 39 42/43; 222 32 64 გარე. 118
ელექტრონული ფოსტა: nsutidze(at)epfound.ge
http://dwvg.ge/joomla/index.php?option=com_acymailing&no_html=1&ctrl=url&urlid=439&mailid=380&subid=11

კომპანია "კარტლისმა" საქართველოს საპატრიარქოსთან ერთად დაიწყო სოფლის მეურნეობის საგანმანათლებლო პროექტი

კომპანია "კარტლისმა" და საქართველოს საპატრიარქომ 2 წლიან მემორანდუმს გუშინ მოაწერეს ხელი, გამოუცხადეს რა მხარდაჭერა ახალგაზრდა ფერმერებს პრაქტიკული გამოცდილების შეძენაში. "კარტლისმა" განაცხადა, რომ გამოყოფს 30 000 ლარს საპატრიარქოს პროექტის "გახდით ფერმერი" დასაფინანსებლად. პირველ ეტაპზე მომზადდება 15 სტიპენდიანტი სოფლის მეურნეობის სპეციალისტი. გარდა ამისა, კომპანიამ განაცხადა, რომ 3,3 ტ მაღალი ხარისხის ხორბლის თესლს და 750 კგ სასუქს გადასცემს ახალგაზრდა ფერმერებს უფასოდ. მომავალი ფერმერები მიიღებენ მონაწილეობას მოსავლის აღებაში "კარტლისის" კუთვნილ მიწებზე, კულტივაციის და დარგვის სამუშაოები ჩატარდება 15 ჰექტარზე, რომელსაც უზრუნველყოფს საპატრიარქო. "კარტლისი" (ყოფილი „გარემოს დაცვა და ანალიტიკა“) დაარსდა 1997

წელს. კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სათესლე მასალებთან, სასუქებთან, მცენარეთა დაცვის საშუალებებთან, სარწყავ სისტემებთან და ა.შ.

DAILY NEWS, 6 ნოემბერი, 2013

PROCREDIT BANK-მა აგროჟურნალი გამოუშვა

ProCredit Bank-მა, სოფლის მეურნეობის მხარდასაჭერად, აგროჟურნალი პროაგრო გამოუშვა, რომელიც კვარტალში ერთხელ გამოვა. როგორც დღევანდელ პრეზენტაციაზე ბანკის გენერალურმა დირექტორმა საშა ტერნესმა აღნიშნა, ჟურნალი ბანკის ყველა ფილიალში უფასოდ დაურიგდება კლიენტებს. ჟურნალის ტირაჟს ბანკში ვერ აკონკრეტებენ. როგორც ბანკში სარკეს განუცხადეს, ProCredit Bank-ის დაკრედიტება სოფლის მეურნეობაზე ჯამში $37 მილიონია, ანუ ბანკის მთლიანი პორტფელის დაახლოებით 10%. აქედან, შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტზე $15 მილიონი მოდის. როგორც, თავის მხრივ, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე დავით გალეგაშვილი აღნიშნავს, ბანკს 4 000 აგროკლიენტი ჰყავს.

DAILY NEWS, 5 ნოემბერი, 2013

ახალი აგროპროექტი ნაკლებად აქტიური რეგიონებისთვის მუშავდება

სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის დავით გალეგაშვილის განცხადებით, მუშავდება ახალი აგროპროექტი იმ რეგიონებისთვის, სადაც აგროკრედიტებზე მოთხოვნა არ იყო. ასეთი რეგიონებისთვის, რომელთა შორისაა იმერეთი, სამეგრელო, მაღალმთიანი აჭარა, პროექტში საგრანტო ელემენტი შემოვა, აღნიშნავს ის. როგორც გალეგაშვილმა სარკეს განუცხადა, სახელმწიფო ასეთი რეგიონებისთვის, ახალი პროექტის ფარგლებში 50%-ის ოდენობით გრანტს გაითვალისწინებს, ამასთან, ბანკში შეღავათიანი სესხის პირობა კვლავ იქნება. პროექტი ჯერ დამუშავების პროცესშია და მასზე მუშაობა წელს დასრულდება, აღნიშნა მან. შეგახსენებთ, რომ ბოლო მონაცემებით, შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის პირველ სამი კომპონენტის ფარგლებში (სასაქონლო კრედიტი, ძირითადი და საბრუნავი საშუალებების დაფინანსება და აგროსაწარმოს შექმნა) 94,1 მილიონი ლარის სესხი გაიცა. გალეგაშვილის თქმით, პროექტის ფარგლებში აქტივობა მაღალი იყო კახეთსა და ქართლში, მცირე აქტივობა იყო სამცხე-ჯავახეთში.

DAILY NEWS, 5 ნოემბერი, 2013

რეკორდული შედეგი - ქვეყნაში 210 000 ტონა ხორბლის მოსავალს ელოდებიან

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემებით, წლეულს 90 000 ტონა მოსავალი მოვიდა, 2014 წელს კი ეს მაჩვენებელი 2,5-ჯერ გაიზრდება და 210 000 ტონას მიაღწევს. მოსავლის ასეთი მაჩვენებელი 2003 წლის შემდეგ აღარ ყოფილა, აღნიშნავს გაზეთი. მარცვლეულის ლოგისტიკის კომპანიის (სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს შვილობილი) დირექტორის გიორგი ღუღუნიშვილის ინფორმაციით, ქვეყნის 6 რეგიონში დაიწყო ხორბლის ჯიშების გამოცდა. გამოიცდება 32 ჯიშის ხორბალი, როგორც ქართული, ისევე უცხოური, საიდანაც ჯერ შეირჩევა 10, საბოლოოდ კი ის ჯიშები, რომელიც 1 ჰექტარზე 5 ტონა მოსავალს იძლევა, აცხადებს ღუღუნიშვილი. დღეს მოსავლიანობა 1,5 ტონას შეადგენს. ექსპერტის პაატა კოღუაშვილის რეკომენდაციით, უნდა შემუშავდეს 2-ეტაპიანი პროგრამა და პირველ ეტაპზე ადგილობრივმა ხორბალმა მოთხოვნის 50% უნდა დააკმაყოფილოს (ამჟამად თვით-

უზრუნველყოფის მაჩვენებელი 24%-ია), მეორე ეტაპზე კი - 70%. ექსპერტის თქმით, თუ პოლიტიკური ნება იქნება, ეს ამოცანა 3-4 წელიწადში იქნება მიღწეული.

ECONOMIC PRESS MONITOR, 5 ნოემბერი, 2013

საქართველოში ბრინჯის მოსავალი პირველად აიღეს

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, შპს „აგრო ზანამ“ ბრინჯის პირველი მოსავალი მიიღო საქართველოში. კომპანიამ 11 ჰექტარზე 8 ტონა მოსავალი აიღო აბაშის რაიონში (სამეგრელოს რეგიონი). კომპანია მიღებული მოსავალის სათესლედ გამოყენებას გეგმავს და მომავალში სავარაუდოდ 200 ჰა ფათობზე იგეგმება ბრინჯის დათესვა, განაცხადეს სამინისტროში. სამინისტროს ცნობით, წელს მოსავლის ასაღებად კომპანია „აგრო ზანამ“ სპეციალური ბრინჯის ამღები კომბაინიც შეიძინა, მომავალ წელს კი ბრინჯის გადამამუშავებელი დანადგარების შეძენასაც გეგმავს. ინვესტიციების რაოდენობა არ იყო დასახელებული.

DAILY NEWS, 5 ნოემბერი, 2013

სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე: ქართული ღვინო რუსეთში ძირითადად საშუალო სეგმენტში გადის

როგორც სარკეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ დავით შერვაშიძემ განუცხადა, ქართული ღვინო რუსეთის ბაზარზე ძირითადად საშუალო სეგმენტში გადის. ქართული ღვინის საშუალო ფასი რუსეთის ბაზარზე $15-ზე ნაკლები არ არის, აღნიშნავს, შერვაშიძე. თუმცა თუ ცალკეულ კომპანიებს სურთ თავიანთი სტრატეგიიდან გამომდინარე შედარებით იაფიანი ღვინო აწარმოონ, მათ ამის საშუალება უნდა ჰქონდეთ, დასძენს ის. შეგახსენებთ, რომ ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, სუფრის ღვინის ფასი რუსეთის ბაზარზე $2-2,5 არის, ხოლო სხვა ღვინოებზე - მეტი.

DAILY NEWS, 1 ნოემბერი, 2013

საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსური ბიულეტენი

ჩვენი წევრი Business & Finance Consulting (BFC) აქვეყნებს საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსურ ბიულეტენს საინტერესო თემებზე. 2013 წლის ოქტომბრის # 14 გამოცემას გაეცანით ამ მისამართზე.

+++AGRO NEWS ARMENIA+++

ევრაზიის განვითარების ბანკი და მსოფლიო ბანკი ერთობლივად დააფინანსებენ სომხეთის სარწყავი ქსელების მოდერნიზაციას მეოთხე ეტაპს

ევრაზიის ეკონომიკური საზოგადოების (EurAsEC) ანტიკრიზისული ფონდი მუშაობს სომხეთის სევანის კასკადის სარწყავი ქსელების მოდერნიზაციის მეოთხე ეტაპის თანადაფინანსების პროექტზე მსოფლიო ბანკთან ერთად, ევრაზიის განვითარების ბანკის (EDB) გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე სერგეი შატალოვმა განაცხადა პრეს-კონფერენციაზე, რომელიც გაიმართა ევრაზიის განვითარების ბანკის (EDB) VII საერთაშორისო კონფერენციის „ევრაზიის ინტეგრაციის გაღრმავება და გაფართოება“ ფარგლებში. შატალოვმა განაცხადა, რომ მსოფლიო ბანკმა დაასრულა მოდერნიზაციის პირველი ორი ეტაპი და მიიღო მაღალი შეფასება ფერმერებისგან, ექსპორტიორებისგან და ქვეყანის ხელისუფლებისგან. "აქედან გამომდინარე, ჩვენ მოხარულები ვართ, რომ მივიღეთ წინადადება მეოთხე ეტაპის დაფინანსებაზე“, თქვა მან, თუმცა არ დაასახელა თანხის ზუსტი რაოდენობა. მსოფლიო ბანკის გამოცდილება გამოყენებული იქნება, რათა უზრუნველყოფილ იყოს შესრულების მაღალი დონე, დასძინა მან. "ეს იქნება პირველი სარწყავი სისტემა, მოდერნიზებული მსოფლიო ბანკის გამოცდილების საფუძველზე", განაცხადა შატალოვმა.

13 ნოემბერი, Arka

3 200 ტონა კარტოფილის ექსპორტი განხორციელდა სომხეთიდან საქართველოში ამ წელს

სომხეთმა 3 200 ტონა კარტოფილის ექსპორტირება მოახდინა საქართველოში წელს, სომხეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ფიტოსანიტარული ინსპექციის უფროსმა არტურ ნიკოიანმა განაცხადა პარასკევს გამართულ პრეს-კონფერენციაზე. "შედარებისთვის მინდა გითხრათ, რომ ჩვენ ექსპორტზე 1 137 ტონა კარტოფილი გავიტანეთ საქართველოში 2012 წელს," დასძინა მან. პასუხად შეკითხვაზე, თუ რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ საქართველო აკრძალავს სომხური კარტოფილის იმპორტს ინფიცირებული კარტოფილის ინციდენტის შემდეგ, მან განაცხადა, რომ არ არსებობს ასეთი პრობლემა. "კარტოფილის ექსპორტი მიმდინარეობს სომხეთიდან საქართველოში ყოველდღე ", დასძინა მან. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სახელმწიფო სამსახურის ოქტომბრის ბოლოს ცნობით, საქართველოს საბაჟოზე სადახლოში აღმოჩენილ იქნა *Ralstonia Solanacearum* და *Synchytrium Endobioticum (Schilb) Perc* ბაქტერია სომხეთიდან საქართველოში გამოგზავნილ კარტოფილში. ამ კარტოფილის ნიმუშები გაიგზავნა სპეციალურ ლაბორატორიაში დასადასტურებლად. ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგად ნათელი გახდა, რომ 114 500 კილოგრამი კარტოფილი ინფიცირებული იყო. შედეგად, 400 ტონა ექსპორტირებული კარტოფილი დაუბრუნდა ექსპორტიორ ქვეყანას. სომხეთის მხარემ უარყო ინფექციის არსებობა და განაცხადა, რომ სინჯები არ იყო აღებული სომხური პარტიიდან და რომ *Ralstonia Solanacearum* არ არსებობს სომხეთში.

ერევანი, 8 ნოემბერი. /ARKA/

ექსპერტი კარტოფილის ექსპორტის პრობლემებში საქართველოს საზღვარზე მსხვილ ექსპორტიორებს ადანაშაულებს

არასამთავრობო ორგანიზაცია აგრარული კავშირის თავმჯდომარე ჰრაჩ ბერბერიანი ფიქრობს, რომ ძირითადი ექსპორტიორები და საქართველო დარჩნენ მოგებული საზღვარზე ბოლოდროინდელი სკანდალისგან, რომლის გამო ასეულობით ტონა სომხური კარტოფილი დაბრუნებულ იქნა საქართველოს შესაბამისი უწყების მიერ, როგორც „დაზიანებული“. "წელს 10 000 ტონამდე კარტოფილი უკვე ექსპორტი-რებულ იქნა სომხეთიდან. მაგრამ არიან მყიდველები [საბითუმო], რომლებიც ცდილობენ შეიძინონ იაფი კარტოფილი. ექსპორტიორებმა ისარგებლეს საქართველო-აზერბაიჯანის პროპაგანდით. ისინი ავრცელებენ ახალ ამბებს, რათა ფერმერები აიძულონ შეამცირონ ფასები და ამით მოიპოვონ ზედმეტი შემოსავლები. ყველა მედია საშუალებით ვრცელდება ცნობა, რომ გზა დაკეტილია და კარტოფილი [სომხეთის] არ იქნება მიღებული საქართველოში“, ბერბერიანმა განაცხადა სამშაბათს მედიასთან და აღნიშნა, რომ წელს სომხეთის ჰქონდა ძალიან კარგი კარტოფილის მოსავალი. გასულ კვირას საქართველოს საინფორმაციო ვებ-საიტის „საქართველო-ონლაინის“ ინფორმაციით, საქართველოდან დაბრუნდება სომხეთში 470 ტონა კარტოფილი. მისი თქმით, პროდუქციის სადახლოს საბაჟო გამშვებ პუნქტში შემოწმების დროს გაირკვა, რომ კარტოფილის ნაწილი სომხეთიდან ინფიცირებული იყო მავნე მიკროორგანიზმებით - *Ralstonia solanacearum* (ყავისფერი ლპობა) და *Synchytrium endobioticum (Schilb) Perc* (კარტოფილის კიბო). ასეთი შემთხვევა იყო გასული წლის აპრილში, როდესაც დაახლოებით 12 ტონა კარტოფილი დაბრუნდა სომხეთში. სომხეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის სპიკერმა არმინ სუკიასიანმა განუცხადა „ArmeniaNow“-ს, რომ კარტოფილის დაზიანების ფაქტი ჯერჯერობით არანაირად არ არის დადასტურებული, რადგან საქართველომ არ წარმოადგინა ლაბორატორიული ტესტირების შედეგი სომხურ სამსახურში. სუკიასიანმა განაცხადა, რომ სამსახურის უფროსი აბრამ ბაკჩაგულიანი ამჟამად საქართველოშია და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის მიიღებს განმარტებებს ვითარების შესახებ შეხვედრების დროს, გახდება შესაძლებელი სამსახურის მიერ ოფიციალური განცხადების გაკეთება. "ამ ეტაპზე სამსახური უარყოფს ინფორმაციას, რომ ექსპორტირებული კარტოფილი ლაბორატორიულად შემოწმდა საქართველოში, რადგან იქ მხოლოდ გარე ინსპექტირება მოხდა. მათ უთხრეს, რომ კარტოფილი არ იყო კარგი და ეს იყო და ეს. „ჩვენ არ გვინდა კომენტარის გაკეთება ამ ეტაპზე, რადგან აქ არიან გარკვეული იმპორტიორები, უცხოელები, რომლებსაც უპირატესობა ენიჭებათ. რაც შეეხება იმას, თუ რატომ არ მოგვაწოდეს წერილობითი ინფორმაცია ტესტირების შესახებ და რატომ ავრცელებენ ასეთ ინფორმაციას ამჟამად, სწორედ ამიტომ არის სერვისის უფროსი დღეს საქართველოში", განაცხადა პრეს-სპიკერმა. აგრარული კავშირის ხელმძღვანელმა იმავდროულად მოუწოდა კარტოფილის მწარმოებლებს, ნუ ჩავარდებიან პანიკაში და არ იფიქრონ, რომ ქართული ბაზარი დაიხურა მათთვის, რადგან გავრცელებული ინფორმაცია არის "ცილისწამება და პროვოკაცია". "მთელ მსოფლიოში კარტოფილის წარმოების სიტუაცია ცუდია, ფასი გაიზარდა, თუმცა სომხეთში კარტოფილის მოსავალი წელს სტაბილურია. ქვეყნის საჭიროება დაკმაყოფილებულია და ჩვენ საექსპორტო პროდუქცია დაგვრჩა. ისინი იძენდნენ საბითუმო ფასად 90 დრამად (25 ცენტზე ნაკლები) [კილოგრამზე], მაგრამ ცოტა ხნის წინ ფასი ავიდა 120 დრამზე. ბოლოს და ბოლოს გლეხს მიეცა საშუალება მიეღო მოგება თავისი საქმიანობიდან, მაგრამ ახლა ისინი ცდილობენ გლეხები ისევ გაძარცვონ", განაცხადა ბერბერიანმა, გაიხსენა რა სირთულეები, რომლებიც გარგარის საბითუმო შესყიდვას ახლდა თან ზაფხულის სეზონზე, როდესაც გარგარი დალპა რიგებში მიმღებ პუნქტებში და ფერმერები იძულებული იყვნენ გაეყიდათ პროდუქცია დაბალ ფასად.

5 ნოემბერი, Armenianow

სომხეთის CARD აგრობიულეტენი, ტომი 3, 2013

გთხოვთ იხილოთ ქვემოთ ლინკი CARD ბიულეტენზე, ტომი 3, 2013.
გამოცემა მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- სიუნიკის საპილოტო და ვეტერინარული სამსახურის პრეზენტაცია
- სომხეთის მესამე ფერმერული და ვეტერინარული ცენტრის დაარსება
- მეცხოველეობის განვითარების ხელშეწყობა სომხეთში და საქართველოში/ ADC
- ახალი ტექნოლოგიები სომხეთის რძის პროდუქტების მწარმოებლებისთვის

თქვენ ასევე იხილავთ ბიულეტენს შემდეგ ლინკზე:

http://dwvg.ge/joomla/index.php?option=com_acymailing&no_html=1&ctrl=url&urlid=379&mailid=380&subid=11